

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2017 წლის 8 მაისის

დადგენილება №2413

მაგისტრატურის მოდიფიცირებული

საგანმანათლებლო პროგრამა

„საინჟინრო ფიზიკის“ დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დეკანის მიერ წარმოდგენილი მოხსენებითი ბარათის საფუძველზე დამტკიცდეს მაგისტრატურის მოდიფიცირებული საგანმანათლებლო პროგრამა “საინჟინრო ფიზიკა”.

განხორციელებული ცვლილებების აღწერა დადგენილებას თან ერთვის (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს  
2017 წლის 8 მაისის  
დადგენილება №2413-ის  
დანართი

ამონაწერი  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის  
საბჭოს სხდომის  
ოქმი # 2  
2017 წლის 6 თებერვალი

სხდომას ესწრებოდნენ: ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საბჭოს 203 აკადემიური პერსონალი და სტუდენტური თვითმმართველობის წევრი.

დღის წესრიგი: 2. მიმდინარე საკითხები.

მოისმინეს:

ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის უფროსის პროფ. ზ. ბაიაშვილის გამოსვლა. მან აღნიშნა, რომ "საინჟინრო ფიზიკის" მაგისტრატურის პროგრამაში და სილაბუსებში ჩატარდა მოდიფიცირება, რათა ისინი შესაბამისობაში მოეყვანათ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2016 წლის 24 თებერვლის № 1939 დადგენილებასთან, კერძოდ, შემცირდა საკონტაქტო საათები სამ კრედიტზე მეტიან სასწავლო საგნებზე, რის შედეგად სტუდენტებს დარჩათ მეტი დრო დამოუკიდებელი მუშაობისთვის. გარდა ამისა, სწავლის შედეგების მიღწევის ფორმებში და მეთოდებში გაიშალა სწავლების მეთოდები, ხოლო სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემაში დაწვრილებით გაიწერა კვირეული და შუალედური/დასკვნითი გამოცდის ქულები, რაც უფრო გასაგებს გახდის სტუდენტებისთვის მათი შეფასების კრიტერიუმებს.

ამასთანავე, გატარდა შემდეგი ცვლილებები:

1. პირველი სემესტრის საგანს „თეორიული ფიზიკის სპეცკურსი“ და მეორე სემესტრის საგანს „მასალებისა და ნაკეთობების მორფოსკოპული და მორფომეტრული კვლევის მეთოდები“ დაუკონკრეტადათ სხეულწოდებები. აღნიშნული ცვლილების მიზანია მათთვის მაგისტრანტისთვის უფრო გასაგები სახის მიცემა. კერძოდ: ტერმინი „სპეცკურსი“ ძალზე ფართო გაგებით სარგებლობს, ხოლო შეცვლილ სათაურში გარკვევით აისახა იგივე შინაარსის კურსის სახელი „კონდენსირებული გარემოს ფიზიკა“; ტერმინები „მორფოსკოპული“ და „მორფომეტრული“ დღევანდელ დღეს აღარ იხმარება, ის შეიცვალა უფრო თანამედროვე და გასაგები სახელწოდებით „მასალების სტრუქტურის, შედგენილობისა და თვისებების კვლევის ძირითადი მეთოდები“. აღნიშნული ცვლილების განხორციელების შემდეგ საგნების მიზანი, შედეგი და შინაარსი უცვლელი დარჩა.

2. პროგრამაში შეიქმნა არჩევითი საგნების ბლოკი, რომელშიც გადავიდა „კრიმინალისტიკური ინფორმატიკა“ და მას დაემატა ერთი ახალი საგანი - "ქვანტური ფიზიკა". აღნიშნული დამატების მიზანს შეადგენდა:

„კრიმინალისტიკური ინფორმატიკის“ საგნის ძირითადიდან არჩევით კურსში გადატანის მიზანს შეადგენდა ის, რომ იმ მაგისტრანტებისთვის, რომლებიც შემდგომში, მეორე კურსზე ფიზიკა-ტექნიკური ექსპერტიზის სპეციალობის არჩევას აპირებდნენ, მიგვეცა საშუალება უკვე პირველი კურსიდან აეთვისებინათ ექსპერტიზისთვის მნიშვნელოვანი საგანი „კრიმინალისტიკური ექსპერტიზა“. ამის შედეგად „ფიზიკა-ტექნიკური

ექსპერტიზის“ კურსის დამამთავრებელ მაგისტრანტს მნიშვნელოვნად გაიზრდება კომპეტენცია და ცოდნის არეალი.

„ქვანტური ფიზიკის“ საგნის დამატების მიზანი იყო ის, რომ იმ მაგისტრანტებს, რომლებიც მომავალ სპეციალობად „მიკროელექტრონიკას“ ან „ნანოტექნოლოგიას“ აირჩევენ შეეძლოთ ქვანტური ფიზიკის კურსის დაუფლება, რადგან დღეს ქვანტური ფიზიკა თეორიული საგნიდან იქცა იმ საინჟინრო კურსად, რომელსაც მიკროელექტრონიკისა და ნანოტექნოლოგიის სპეციალისტები აქტიურად იყენებენ წარმოებაში. კურსის ათვისების შედეგად მაგისტრანტების ცოდნა ამდღედ იმ თანამედროვე სტანდარტებამდე, რომლითაც მოწინავე სამეცნირო თუ საწარმოო ჯგუფები სარგებლობენ.

3. პროგრამის საგნობრივი დატვირთვის ცხრილიდან ცალკე გამოიყო კვლევითი კომპონენტის ცხრილი.

აზრი გამოთქვს: პროფესორებმა ზ.წვერაიძემ, ლ.იმნაიშვილმა, ი.გოცირიძემ, ქ.კოტრიკაძემ, ა.კირთაძემ, ზ.აზმაიფარაშვილმა, ა.გიგინეიშვილმა, შ.ზაზაშვილმა, დ.ჯიშიაშვილმა, ა.გიგინეიშვილმა.

დაადგინეს: იმს ფაკულტეტზე მიღებულ იქნეს "საინჟინრო ფიზიკის" მაგისტრატურის პროგრამაში და სილაბუსებში ჩატარებული მოდიფიცირება.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად: 203 ხმა თანახმა, თავი შეიკავა - არც ერთმა, წინააღმდეგი - არც ერთი.

ინფორმატიკისა და მართვის  
სისტემების ფაკულტეტის  
საბჭოს თავმჯდომარე

ინფორმატიკისა და მართვის  
სისტემების ფაკულტეტის  
საბჭოს მდივანი,



ზ. წვერაიძე

ქ. კოტრიკაძე